



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გუნია სერგო უშანგის ასული

გუნია სერგო უშანგის ძე [13 (26). IV. 1907, სოფ. ზანათი, ახლანდ. აბაშის მუნიციპალიტეტი, - 4. V. 1977, თბილისი], გეოფიზიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1962), პროფესორი (1963), საქართვე. მეცნ. დამს. მოღვაწე (1967). 1932 დაამთავრა თსუ-ის ფიზიკა-მათ. ფაკ-ტი. 1932-62 მუშაობდა თბილ. გეოფიზ. ობსერვატორიაში, მისი რეორგანიზაციის შემდეგ კი - ამიერკავკ. ჰიდრომეტეოროლო. ინ-ტში. 1962-77 იყო საქართვე. სას.-სამ. ინ-ტის ფიზიკის კათედრის გამგე. გ. იკვლევდა ატმ. ფიზიკის საკითხებს. დაამუშავა ელჭექის პროგნოზის მეთოდი, რ-საც იყენებენ სამხრ. კავკასიის სახელმწიფოების ჰიდრომეტეოროლო. სამსახურების ოპერატიულ ქსელში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: ფიზიკის სალექციო კურსი, ნაწ. 3, თბ., 1972 (თანაავტ. ბ. გურგენიძე); Грозовые процессы в условиях Закавказья, Л., 1960; Учет гор и трения в двухуровневой модели для прогноза метеорологических элементов в условиях Кавказа, «Труды Закавказского н.-и. гидрометеорологического ин-та», 1965, в.19 (25) (თანაავტ. В.П. Садоков).

8. ცქვიტინიძე
